ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31

2011 წლის 16 სექტემბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულება“ (თან ერთვის).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 3 ივნისის №19 დადგენილება.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური

1. ეს დებულება განსაზღვრავს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური არის ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში – გამგეობა) სტრუქტურული ერთეული.

3. სამსახურს აქვს ბლანკი და ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით.

4. სამსახურის საშტატო ერთეულები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში განსაზღვრავს საკრებულო.

5. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

6. სამსახურის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

7. სამსახურის მეთოდურ ხელმძღვანელობას და მისი საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება _ ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია.

8. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №49.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა ზედამხედველობის განხორციელება:

ა) მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების, კონსტრუქციების საპროექტო ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე;

ბ) ქალაქ ახმეტისა და მუნიციპალიტეტის სოფლების იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე;

გ) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ხმაურის, ინსოლაციისა და დასუფთავების განმსაზღვრელი სანიტარიული ნორმების დაცვაზე;

დ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებაზე;

ე) მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

2. სამსახურის ფუნქციებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა),,ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება და გამგებლისათვის წარდგენა

ბ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა მოწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ

ობიექტის მოწესრიგება და სხვა), აგრეთვე დასახლებათა დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

გ) კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე (შენობა-ნაგებობის ფასადების, გზის საფარის, გარე განათების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა ჯიხურებისა და ჭების, კომუნალური მეურნეობის სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე);

დ) გარე რეკლამის განთავსების, გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების შესრულებაზე კონტროლი და მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენა;

ე) უკანონო, უსახური და ამორტიზებული კონსტრუქციების განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;

ვ) ხმაურის, ინსოლაციისა და დასუფთავების სანიტარიული ნორმების დაცვაზე კონტროლის განხორციელება;

ზ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სამართალდამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზომების განხორციელება;

თ) მშენებარე, რეკონსტრუქციაში მყოფი, ლანდშაფტური და მცირე არქიტექტურული ფორმების ინსპექტირება;

ი) ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად სანიტარiული ზედამხედველობის სფეროში თვითმმართველი ერთეულისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ამ დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში;

კ) თავისი უფლებამოსილების შესაბამისად, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი.

მუხლი 4. სამსახურის უფლებები და ვალდებულებები

1. სამსახური უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე განახორციელოს კონტროლი სამშენებლო, გარემოსდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესრულებაზე; შემოწმების პროცესში მოითხოვოს საჭირო დოკუმენტაცია ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან, განურჩევლად საკუთრების ფორმისა და უწყებრივი ქვემდებარეობისა;

ბ) განსაზღვროს დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებები და ვადები, დააწესოს კონტროლი მათ შესრულებაზე;

გ) აწარმოოს კონტროლი კეთილმოწყობის, გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების და დასუფთავების ღონისძიებათა შესრულებაზე;

დ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოოს მშენებარე შენობა-ნაგებობის საპროექტო და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დაცვის კონტროლი;

ე) უზრუნველყოს „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით და 22-30-ე მუხლებით გათვალისწინებული ზედამხედველობითი ფუნქციების განხორციელება, შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი და წარუდგინოს იგი გამგებელს შესაბამისი სანქციების გამოყენების მიზნით;

ზ) მოახდინოს სათანადო რეაგირება დასუფთავების წესების დამდგენი ნორმების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებზე;

თ) ზედამხედველობა გაუწიოს გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და სხვა დაწესებულებებში სანიტარiულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ი) შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

კ) მონაწილეობა მიიღოს მის ფუნქციებთან დაკავშირებით თვითმმართველი ერთეულის მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;

ლ) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სხვადასხვა უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მეცნიერები, სპეციალისტები, ექსპერტები;

მ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო, სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე;

ბ) დადგენილი წესით მოახდინოს სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების შემოწმება, წარუდგინოს გამგებელს წინადადებები მათი საქმიანობის შეჩერების, აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანი ან ნაწილობრივი დემონტაჟის თაობაზე;

გ) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ კეთილმოწყობის, გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობისა და ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) განახორციელოს ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (გარდა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლისა);

ე) აწარმოოს კონტროლი ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განთავსებაზე, მოჭრაზე ან/და ამოძირკვაზე.

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურა

სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, წამყვანი სპეციალისტებისა და სპეციალისტებისაგან, რომელთა რიცხოვნობა განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

მუხლი 6. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ სტრუქტურული ერთეულისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს ამ სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა შორის და განსაზღვრავს მათ თანამდებობრივ მოვალეობებს;

გ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენების, სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს;

ე) გამგებელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით, გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) უშუალოდ უძღვება ზეპირ მოსმენებს სამსახურის განსახილველ საკითხებზე ადმინისტრაციული წარმოებისას;

ი) ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და ,,ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

კ) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის დავალებით, მის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურე.

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გარდა ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ იღებს საკრებულოს თავმჯდომარე გამგებლის წინადადების საფუძველზე.

3. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე.

4. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები, გარანტიები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხები რეგულირდება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

ამ დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.